გილოცავთ
ქართული ფეხბურთის წარმატებას

26 მარტს ყველანი მოწმე გავხდით სიკეთითა და სიყვარულით გაბრწყინებული ენერგიის თავმოყრისა და უჩვეულო ამოფრქვევის - ჩვენი ქვეყნისა და ხალხის კიდევ ერთი გამარჯვების. შეიძლება ეს ერი სადღაც, ვიღაცის ნეგატიურ აზრებსა თუ სხვადასხვა ენებზე შეთითხნილ ნუსხებში მილევად რეჟიმში იყოს აღბეჭდილი და პერიოდულად, ნიშნისგებით, ტკბილმოუბარი სისინით გვაფრთხილებდნენ, რომ წამმზომი უკვე ჩართულია, რომ უკანასკნელი ზარი სულ მალე, 2050 წელს დაჰკრავს და ჩვენსავე ქვეყანაში უმცირესობაში აღმოვჩნდებით - სავალალო, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ პოზიციაზე ყოფნა გარანტირებული გვაქვს....

იმრავლეთ ქართველებო, დაუბრუნდით თქვენს მიწა-წყალს ქართველებო, სამშობლოს მონატრებაზე უფრო დიდი გაჭირვება განა რა შეიძლება იყოს, რომ ნებისმიერი სირთულე ყველამ ერთად ვერ დავძლიოთ, ვერ გადავლახოთ... განა რა სჯობს, საკუთარი ხელით შექმნილი მომავლით წელგამართულ ყოფნასა და მშობელ მიწაზე თავაწეულ, ამაყ სიარულს...

ერთად დავიბრუნოთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი, მრავალ ჭირგამოვლილი, მრავალტანჯული და მაინც ასე მომხიბლავი ქვეყანა, ერთად მივხედოთ ქართულ მიწას, რომელიც გონიერ პატრონს ელის, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს, რომელიც ღრმა, განათლებულ, კეთილშობილ მასწავლებელსა და პროფესორს ელის, ეკლესიას, რომელიც სიბრძნითა და რწმენით გასხივოსნებულ მოძღვარს ელის, ჩვენს დიდებულ კულტურულ მემკვიდრეობაში განფენილ წარსულს, რომელიც ნათელ, საღ აზრს და საქმეს ელის...

ერთ გუნდად შევიკრათ სამშობლოს მსახურებისთვის აქეთ-იქით, უცხო მიწაზე, სულიერების უცხო წიაღში დაფანტულო ქართველებო, ერთად ვუგულშემატკივროთ ჩვენი ქვეყნის აწმყოს და მომავალს..

ქეთევან ტომარაძე

თემასთან დაკავშირებით ასევე იხილეთ:

„სპორტი - მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის”

(სპორტის ევროპული მოდელის პრინციპების რეალიზაცია, მასში ჩადებული ღირებულებების განვრცობა)

ფოტო ვიდეო მასალის ავტორი დავით ობოლაძე

ბესიკ ობოლაძე

დავით ობოლაძე, ბესიკ ობოლაძე